



9268/3-2/21 2 06092021

9268/3-2/21

06-09-2021

საქართველოს პრემიერ მინისტრს

ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო ირაკლი,

თქვენი სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქარლამენტო მოხსენების თანახმად (#18606 31.05.2021) 2021 წლის 21 იანვრის სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმეზე: “საქართველო რუსეთის წინააღმდეგ II“ საქართველოს მთავრობას აქვს 12 თვე, რათა წარადგინოს პოზიცია რუსეთის მიერ ჩადენილი დარღვევების მსხვერპლთათვის სათანადო კომპენსაციის მინიჭების თაობაზე, რაც გულისხმობს დაზარალებულთა იდენტიფიცირებას და მათ განცდილი მორალური თუ მატერიალური ზიანის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შეგროვებას სტრასბურგის სასამართლოსთვის მისაწოდებლად. გამომდინარე აქედან, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ შემდეგი სადეპუტატო კითხვით:

1. რა პროცესშია დაზარალებულთა იდენტიფიცირების პროცესი? და თუ უკვე არის, რამდენ დაზარალებულს შეადგენს მათი ციფრი?
2. რა საქმეებს შეეხება იდენტიფიცირება? ეს არის ჩვენი თანამოქალაქეების საოკუპაციო ხაზიდან გატაცების და უკანონო პატიმრობის ფაქტები მხოლოდ, თუ ასევე გულისხმობს საკუთრების უფლების საკითხსაც, კერძოდ კი მცოცავი ოკუპაციის პირობებში მათი კერძო საკუთრების საოკუპაციო ხაზს მიღმა მოხვედრას-მავთულხლართების თუ სხვა ბარიერების გავლების შედეგად?
3. რამდენ ჩვენს თანამოქალაქეს აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობა ოკუპანტების მიერ მათი გატაცების შესახებ 2013 წლიდან დღეის მოცემულობით?
4. რამდენი მოქალაქის რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მოექცა ბორდერიზაციის შედეგად საოკუპაციო ხაზს მიღმა 2013 წლიდან?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თეონა აქუზარდია



9898/3-2/21
24-09-2021

საქართველოს იუსტიციის მინისტრს,
ბატონ რატი ბრეგაძეს

ბატონო რატი,

თქვენი 12 სექტემბრის # №12298 წერილის დაზუსტების მიზნით საქართველოს
პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლით ჩემთვის მონიჭებული უფლების თანახმად
გთხოვთ შემდეგი ინფორმაციის მოწოდებას:

1. იმისათვის, რომ საქართველოს მთავრობამ ევროპულ სასამართლოს წარუდგინოს „სამართლიან დაკმაყოფილებასთან“ (დაზარალებულთა კომპენსაციის საკითხთან) დაკავშირებული პოზიცია, რა შესაბამის კომუნიკაციას ახორციელებს თქვენი უწყება დაზარალებულებთან და რა ფორმით?
2. როგორი მეთოდოლოგიით ან ფორმით ახდენთ დაზარალებულთა ინდენტიფიკაციას ევროპული სასამართლოსთვის მტკიცებულებების შეკრებისას? თქვენ გამოითხოვთ ინფორმაციას პროკურატურიდან, სუს-იდან, საგარეოდან და შსს-დან სავარაუდო დაზარალებულების შესახებ და შემდეგ ახდენთ მათთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებას, თუ ასევე მოქალაქეებს, რომლებიც გახდნენ მსხვერპლი უკანონო გატაცების და თავისუფლების აღკვეთის, მათაც შეუძლიათ მიმართონ თქვენს უწყებას ამ მიზნით. ვფიქრობ, ამ კითხვაზე პასუხი მნიშვნელოვანია, რამდენადაც ამ მოქალაქეებს საჯარო ინფორმაცია არ გააჩნიათ კომპენსაციის დაკისრების შესაძლებლობაზე ევროპული სასამართლოს მხრიდან.
3. თანამშრომლობთ თუ არა შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც მცოცავი ოკუპაციით დაზარალებული მოქალაქეების უფლებების დაცვაზე მუშაობენ?
4. და ბოლოს, საკუთრების უფლების დარღვევასთან დაკავშირებით, გამომდინარე რეალობიდან, რომ საოკუპაციო ხაზთან არსებული მიწის რეგისტრაცია ფიზიკური პირებისთვის არ არის სრულყოფილად ჩატარებული, რა მიდგომით ხელმძღვანელობთ ამ ნაწილში?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თეონა აქუზარდია